




თავის მოვლის დამხმარე საშუალებები:	გამოსადეგია ადამიანებისთვის, რომელთაც:	როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს
შხაპის სკამი	ბანაობისას არ შეუძლიათ უსაფრთხოდ დგომა და/ან წონასწორობის დაცვა.	
ტუალეტის სკამი	შეუძლიათ აკონტროლონ, თუ როდის დაცალონ შარდის ბუშტი და ნაწლავი, და/ან აღენიშნებათ შეუკავებლობა და იყენებენ კათეტერს, და/ან უჭირთ ტუალეტამდე მისვლა ან წამოსვლა, და/ან უჭირთ უნიტაზზე დაჯდომა-ადგომა.	
შემწოვი საფენი	აღენიშნებათ შარდის შეუკავებლობის იშვიათი ან მცირე პრობლემები; ან ვერ აკონტროლებენ, როდის ცლიან შარდის ბუშტს და/ან ნაწლავს.	
კათეტერები	ვისაც აქვს შარდის ხანგრძლივი შეუკავებლობა.	

თავის მოვლის დამხმარე საშუალებები:	გამოსადეგია ადამიანებისთვის, რომელთაც:	როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს
ჩაცმა-გახდისას დამხმარე საშუალებები	აღენიშნებათ ჩაცმასთან ან გახდასთან დაკავშირებული პრობლემები წონასწორობის დაცვის, ხელით მიწვდომის, პოზიციის შენარჩუნებისა და სხვა სირთულის გამო.	
ადაპტირებული დანა-ჩანგალი და თეფშები	აქვთ ჭამასთან დაკავშირებული სირთულები ხელის მოძრაობისა და ძალის შეზღუდვის გამო.	
ადაპტირებული სასმელი ჭიქები	ხელის მოძრაობის, ან ძალის შეზღუდვისას, ან დაქვეითებული/ღარიბი კოორდინაციისას.	
ზეწოლის შემამსუბუქებელი ბალიში და მატრასი	ვისაც აქვს ნაწოლების განვითარების რისკი.	

დაიმახსოვრეთ: თითოეული ამ საშუალების შემთხვევაში მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის ოთხი ნაბიჯის გავლა



პირველი ნაბიჯი - შეფასება



მეორე ნაბიჯი - მორგება



მესამე ნაბიჯი - გამოყენება



მეოთხე ნაბიჯი - გადაფასება